თეიმურაზ ბეჟანიძე •

განვითარების და სახელმწიფოს მშენებლობის ნარატივები პოსტ-რევოლუციურ პერიოდში (ქალაქ ბათუმის მაგალითზე)

აბსტრაქტი

განვითარების ცნება, რომელიც ჩვენი დროის მმართველ ტროპად იქცა, გამოიხატებოდა ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილების, ინსტიტუციების მშენებლობის თუ პოლიტიკური დღის წესრიგების შექმნის გზაზე. წარმოდგენილი სტატია მცდელობაა შეისწავლოს ვარდების რევოლუციის შემდგომი პერიოდის განვითარების პოლიტიკური ნარატივები, სახელდობრ, ქალაქ ბათუმის მაგალითზე და გამოკვეთოს, თუ რა ტიპის პოლიტიკურ პროექტს დაეფუძნა სახელმწიფოს მშენებლობის განვითარების ხედვა პოსტ-რევოლუციურ პერიოდში. სტატიაში გამოყენებულია კრიტიკული დისკურსის ანალიზის მეთოდოლოგია, ხოლო ცალკეული დისკურსების განხილვით, სტატია აჩვენებს, როგორ ხდება ქ. ბათუმზე რეფერირებით პოლიტიკური მოდერნულობის, როგორც განვითარების და სახელმწიფოს მშენებლობის პროექტის დამოწმება და რა ძირითად იდეებს მოიცავს განვითარების არჩეული მიმართულება. პოლიტიკური დისკურსები სტატიაში გაანალიზებულია პოლიტიკური მოდერნულობის სივრცით და დროით კონცეფციებთან მიმართებაში.

საძიებო სიტყვები: განვითარება, მოდერნულობა, სივრცე და დრო, ქ. ბათუმი, პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაცია.

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი.

შესავალი

,,მოგესალმებით ჩემი ბათუმიდან, ჩემი სიამაყიდან. რამდენი რაღაც გაკეთდა ახალი, თუმცა ეს ბულვარი, ეს პროექტები მე უკვე დახაზული მქონდა და ცოტა უკეთესადაც წარმომედგინა. ხომ ხედავთ, რომ მე გავრისკე ჩემი სიცოცხლე, თავისუფლებაც, და ჩამოვედი აქ.“ ამბობს საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი ვიდეო მიმართვაში, რომელიც 2021 წლის 1 ოქტომბრის დილით, არჩევნებამდე ერთი დღით ადრე გამოქვეყნდა მისსავე ფეისბუქის გვერდზე. საქართველოს მესამე პრეზიდენტის საქართველოში დაბრუნება ქალაქ ბათუმიდან ერთგვარი პოლიტიკური პერფორმანსია, რომელიც რეფერირებს ქ. ბათუმზე, როგორც პოსტ-რევოლუციურ პერიოდში სახელმწიფოს განვითარების ნარატივების მთავარ მატერიალურ განსხეულებაზე დროსა და სივრცეში.

1991 წელს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საქართველო გახდა სივრცე/ადგილი არაერთი პოლიტიკური ექსპერიმენტისთვის. ახალი ტიპის ეკონომიკურმა ფორმაციამ და განვითარებულმა მოვლენებმა (სამოქალაქო ომი, კონფლიქტი) ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა სოციალური და ეკონომიკური ექსპერიმენტებისთვის. რეფორმების ასეთმა კასკადმა შექმნა განცდა, რომ აღნიშნული ძალისხმევა მიმართული იყო პროგრესული ცვლილებებისთვის და მას გრძელვადიანი ხედვა გააჩნდა. სურვილმა, რომ ქვეყანა სწრაფად გადასულიყო საბაზრო ეკონომიკაზე, ყურადღების მიღმა დატოვა მთელი რიგი სფეროები, რომლებიც გამწევ ძალას წარმოადგენდნენ საზოგადოებისთვის, როგორებიცაა: სოციალური უფლებების სფერო, განათლება, ჯანდაცვა და სხვა.

მიუხედავად, ცალკეულ შემთხვევებში, მთავრობების მიერ განხორციელებული პროგრესული საკანონმდებლო ძალისხმევებისა, სიღარიბე და სოციალური პრობლემები ისევ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საზოგადოებისთვის. ამასთან, მსოფლიო ბანკის უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, საქართველო ცნობილია ეკ-

ონომიკური სიმდიდრის ყველაზე არათანაბრი განაწილებით ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის (The World Bank, 2018). ვარდების რევოლუციის შემდგომი მთავრობის მთავარი მიზანი ახალი ქართული სახელმწიფოს შექმნა იყო, სადაც ე. წ. ,,არშემდგარი" (failed state) ქვეყანა დასავლური / მოდერნული / ლიბერალურ-დემოკრატიული ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა. (Cheterian, 2008). (Brisku, 2013), (ჯონსი, 2013). ახალი მოდერნული სახელმწიფოს იდეა კი სამ განზომილებას დაეფუძნა - ეკონომიკური ზრდა, მინიმალური სახელმწიფო და დემოკრატიზაცია, ასევე, მოდერნულობის მისაღწევად მნიშვნელოვანი იყო კორუფციის დამარცხება.[1] სახელმწიფოს მშენებლობის ასეთი წარმოდგენები თანხვედრაში იყო ტრანზიციის დომინანტურ პარადიგმასთან, რომელშიც განვითარება, დემოკრატიზაცია და მოდერნიზაცია გადაჯაჭვულ პროექტად იქცა. (Carothers, 2002, pp. 5–6). (Cheterian, 2008).

განვითარების ცნება, რომელიც ჩვენი დროის მმართველ ტროპად იქცა, გამოიხატებ(ოდ)ა ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილების, ინსტიტუციების მშენებლობის თუ პოლიტიკური დღის წესრიგების შექმნის გზაზე. მათ შორის, განვითარებამ მნიშ-

[1] ,,არც თუ დიდი ხნის წინათ, ჩვენ საერთოდ არ გვქონდა სახელმწიფო. ახლა კი გვაქვს ძლიერი ინსტიტუტები, რომელთა მიმართ აღფრთოვანებას გამოხატავენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს მიღმა. არცთუ დიდი ხნის წინათ, ქვეყანაში ყვაოდა კრიმინალი და კორუფცია. კრიმინალები და ქურდები ყველგან ბატონობდნენ. ჩვენი შვილების გარეთ გაშვების გვეშინოდა, რადგან მათაც წარმოუდგენელი საფრთხე ემუქრებოდა. ახლა სიამოვნებას გვანიჭებს უსაფრთხო ქუჩები, საერთაშორისო ორგანიზაციები კი საქართველოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ მსოფლიოს წამყვან ქვეყნად ასახელებენ." (სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი: „მე ვაპირებდი პარლამენტში მისვლას, რათა უმრავლესობისთვის თანამშრომლობა შემეთავაზებინა", 2013)

ვნელოვანი ადგილი დაიკავა პოსტ-საბჭოთა ქალაქების ტრანსფორმაციის პროცესში, რაც დაუკავშირდა ახალი ტიპის მმართველობისა და პოლიტიკური იდეების ჩამოყალიბებას. (Harris-Brandts, 2018). აკადემიურ სივრცეებში ფართოვდება იმგვარი დისკუსიები, სადაც განვითარების, როგორც პოლიტიკური პროექტის იდეა თანადროულად განიხილება ქალაქის, როგორც პოლიტიკური სივრცის გარდაქმნის პროცესში. (McGuirk, 2005), (Duran, 2006). საქართველოს შემთხვევაში, სწრაფი და დაჩქარებული განვითარების თვალსაჩინო მაგალითია ქალაქი ბათუმი, სადაც ვარდების რევოლუციის შემდგომ, განვითარების სწრაფი მაჩვენებლები მიუთითებს ტენდენციაზე ქალაქის მიმბაძველობისა და გლობალურ ქალაქებთან მიღწევის სურვილთან. (Harris-Brandts, 2018), (Sassen, 2011) მეორე მხრივ, ქალაქ ბათუმის განვითარება, სხვადასხვა პოლიტიკური ხელისუფლებისთვის/მმართველისთვის, იქცა ქვეყნის განვითარების კურსისა და ლოგიკის ერთ-ერთ მთავარ დასამოწმებელ ინსტრუმენტად.

წარმოდგენილი სტატია მცდელობაა შეისწავლოს ვარდების რევოლუციის შემდგომი პერიოდის განვითარების პოლიტიკური ნარატივები, სახელდობრ, ქალაქ ბათუმის მაგალითზე და გამოკვეთოს, თუ რა ტიპის პროექტ(ებ)ს დაეფუძნა განვითარების ხედვა პოსტ-რევოლუციურ პერიოდში. კერძოდ, ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, პასუხები გასცეს შემდეგ შეკითხვებს: 1. რა შინაარსებით არტიკულირდება განვითარების პოლიტიკური ხედვა ქალაქ ბათუმთან დაკავშირებულ და მასზე მომიჯნავე დისკურსებში? 2. რა დიქოტომიების (ბინარულობის) კონტექსტში მუშაობს ქ. ბათუმის განვითარების იდეა? 3. რა კონტექსტში უპირისპირდება ის განვითარებამდე არსებულ გზას და შესაბამისად, რა ტიპის დისკურსული სტრატეგიებისთვის ქმნის ის კონცეპტუალურ სივცეს?

წინამდებარე სტატია დაფუძნებულია კრიტიკული დისკურსის ანალიზის მეთოდოლოგიაზე. კრიტიკული დისკურსის ანალიზი განხორციელდა ნორმან ფერკლოუს (Fairclough, 2010) და რუთ

ვოდაკის ჩარჩოს მიხედვით, რომლის თანახმადაც ტექსტზე მუშაობის დროს გამოვყავით 3 ძირითადი ელემენტი - ტექსტის აღწერა, ტექსტის ინტერპერტაცია და ტექსტის ახსნა. საკვლევი საკითხი, როგორც პოლიტიკური პროცესი, მიმართულია ზემოდან ქვემოთ და განისაზღვრება სახელისუფლებლო პოლიტიკური პირების და მმართველთა ნარატივების პერსპექტივიდან. კვლევის საგნად შერჩეულია სახელისუფლებო დისკურსი, როგორც განვითარების ოფიციალური ნარატივის ავტორი და შემქმნელი. კვლევის ამხსნელობითი, თეორიული ჩარჩოა სოციალური კონსტრუქტივიზმი, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ენისა და სოციალური კატეგორიების ანალიზი იმის ასახსნელად, თუ როგორ ახდენს მოცემულობად მიღებული კატეგორიები ზეგავლენას გამოცდილებებსა და მოვლენების ,,ბუნებრივად“ და ,,უნივერსალურად“ აღქმაზე. სოციალური კონსტრუქციონიზმი საზოგადოებას, როგორც კონსტრუქციას განიხილავს, სადაც კოლექტივი ხდება არტეფაქტი, რომლის რეფაბრიკაცია და მობილიზაცია ძალაუფლების ზეგავლენის შედეგია. (ქარაია, 2015).

1.1. რას ვგულისხმობთ, როდესაც განვითარების პოლიტიკურ პროექტზე ვსაუბრობთ?

ბოლო ათწლეულების განმავლობაში განვითარების თეორიების მიმართ ინტერესის ზრდა თვალშისაცემია პოლიტიკურ მეცნიერებაში, სადაც მთავარი ყურადღება დემოკრატიული ტრანზიციის, განვითარების და მოდერნულობის საკითხებს ეთმობა. განვითარების ეტიმოლოგიური განსაზღვრება ზრდას, ევოლუციას, პროგრესს, მომწიფებას და სხვ. კატეგორიებს მოიცავს (Pieterse, 2010, pp. 14-15). ამასთან, მისი ზოგადი მნიშვნელობით, როგორც გუსტავო ესტევა აღნიშნავს, ტერმინი „განვითარება” ყოველთვის გულისხმობს ხელსაყრელ ცვლილებას, მარტივიდან კომპლექსურისკენ გადადგმულს. (Esteva, 1992, pp. 6-7) განვითარების, როგორც პოლიტიკური

პროექტის მნიშვნელობებს ვხვდებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილ თეორიულ სკოლებშიც, სადაც განვითარება ამავე პერიოდის ეკონომიკური, სოციალური და თუნდაც პოლიტიკური ორგანიზების სახელმძღვანელო პრინციპად მოინიშნება და მოიცავს პროცესებს, როცა ქვეყნებს უნდა დაეწყოთ მსვლელობა უწყვეტი ეკონომიკური ზრდისკენ, რომელთაც უნივერსალურად განსაზღვრული პოლიტიკური გზა დააახლოვებდა. (Esteva, 1992, pp. 13-17) ამგვარ უნივერსალობაში კი მოიაზრებოდა ვარაუდი, რომ მხოლოდ ,,განვითარებული" სამყაროს მიერ გარკვეული დახმარებით იქნებოდა შესაძლებელი მისი მიღწევა. (Rist, 2008) მართლაც, ეს არის მთავარი იდეა, რომელიც სხვადასხვა დისკურსული გზებით დღემდე ქმნის განვითარების გრანდ-ნარატივებს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მოდერნულობის პოლიტიკურ პროექტთან.

პერუელი პოლიტიკის ფილოსოფოსი, ანიბალ კიხანო ერთმანეთთან აკავშირებს განვითარებისა და მოდერნულობის ცნებებს და ამ კავშირს გლობალური ნეოლიბერალური სისტემის შენარჩუნებისა და კვლავწარმოების მთავარ არგუმენტად მონიშნავს. (კიხანო, 2019) ,,მოდერნულობამ, რომელიც ეფუძნება ცოდნის, ძალაუფლების და განვითარების უნივერსალური ხედვის ჩამოყალიბებას, წარმოქმნა ცოდნის სპეციფიური პერსპექტივა, რომელიც ძალაუფლების გლობალური მოდელის სისტემაში კავშირშია ისეთ ცნებებთან, როგორიცაა კოლონიური, კაპიტალისტური და ევროცენტრული." (კიხანო, 2019) დეკოლონიური სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ განვითარების მოდერნული პროექტის ფუნდამენტური მითი სწორედ ბუნებრივი მდგომარეობაა, როგორც ისტორიის ცივილიზაციის ხაზის ათვლის წერტილი, რომლის კულმინაციასაც ევროპული ან დასავლური საზოგადოება წარმოადგენს. (იხ: (Mignolo W., 2011), (Galeano, 2001), (Escobar, 2011), (Escobar, 2018)). შესაბამისად, მათთვის დასავლური მოდერნულობა არ წარმოადგენს ე.წ. ,,ტაბულა რაზას", სადაც ტრანზიციის პროცესს მოდერნუ-

ლობა და მასთან დაკავშირებული ღირებულებები განსასჯელად გადააქვს ,,გლობალური სამხრეთის“ ქვეყნებში, არამედ - მოდერნულობა წინასწარ ფორმირებული და მზა კატეგორიაა, რომელიც მიზნად ისახავს, რომ ის აუცილებლად მოერგოს და ითარგმნოს კონკრეტული ქვეყნის სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტთან და ერთადერთ ტელეოლოგიად დასავლური ტიპის განვითარება დასახოს.

პოსტკოლონიური სკოლის წარმომადგენლები კი განვითარებას მეორე მსოფლიო ომის პერიოდის შემდგომ აკვირდებიან და ,,პროგრესული“ ნარატივების წარმოებასთან აკავშირებენ, რაც, მათი აზრით, მე-19 საუკუნეში დუალიზმის რადიკალურ გაგებასთან და ცნების ,,ისტორიციზმის“ იდეასთან შემჭიდროვების შედეგია. პოსტკოლონიური სკოლის ხედვა მნიშვნელოვნად უკავშირდება 1944 წელს შექმნილ ორ საერთაშორისო სტრუქტურას (საერთაშორისო სავალუტო ფონდს (IMF) და მსოფლიო ბანკს), როგორც ფინანსური ინსტიტუტების ღერძს, რომლებსაც ევალებოდათ განვითარების პროექტის შესაბამისი მიმართულებით წაყვანა. პოსტ და დეკოლონიური თეორიის სკოლის წარმომადგენლები მოდერნულობის განვითარებაში მნიშვნელოვან აქცენტს ქალაქის განვითარებაზე აკეთებენ. განსაკუთრებით, კი ისეთი ქალაქების შემთხვევაში, რომლებიც გლობალური ქალაქების იერარქიულ სისტემაში საკუთარი თავის მონიშვნას კულტურული და ეკონომიკური კაპიტალის საფუძველზე ახდენენ. (Escobar, 2011) (Escobar, 2018) (Harvey, 2006).

წინამდებარე სტატია ეფუძნება ტრანზიციის ესკობარისეულ გაგებას, რომელიც მოდერნულობას და განვითარებას ათავსებს ტრანზიციის კოგნიტურ სქემებში. ესკობარი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ქალაქის განვითარების იდეაზე და ნარატივებზე დაკვირვება, შესაძლებელს ხდის ქვეყნის

განვითარების დომინანტური ხედვის ამოკითხვის.[2] (Escobar, 2011). ესკობარისთვის, თანამედროვე ქალაქების გლობალური განვითარება და განვითარების ნარატივების შექმნა კავშირშია ისეთ ცნებებთან, როგორიცაა ისტორიციზმი, რაც ქმნის ,,ისტორიის მოსაცდელი ოთახის“ ფუნქციას (Chakrabarty, 2000) და განვითარების ერთადერთ გზად დასავლურ მოდერნულობას სახავს. ასევე, ნეოლიბერალიზმთან, რომელიც საკუთარი მოქნილობით, წარმოების ნებისმიერ ფორმას ათავსებს გლობალურად ცვალებადი შრომითი სისტემების და ურთიერთობების სტრუქტურაში (კიხანო, 2019). გარდა ამისა, დისკურსების ანალიზისას და ცალკეული კოგნიტური ჟესტების გამოყოფისთვის, გამოყენებულია დიპეშ ჩაკრაბარტის შრომა ,,ევროპის გაპროვინციულება: პოსტკოლონიური აზროვნება და განსხვავება", სადაც ავტორი საუბრობს ევროპაზე, როგორც მითოპოეტურ ფიგურაზე და აკავშირებს მას მოდერნულობისა და კაპიტალიზმის კონცეპტებთან. ჩაკრაბარტის აზრით, ევროპული აზროვნება დროთა განმავლობაში უცვლელია, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, წარმოდგენილია აბსტრაქტული უნივერსალიზმის სახით, რომელიც აზროვნების ამ ფორმას მონიშნავს, როგორც უალტერნატივოს, რაც განაპირობებს მის პოლიტიკურ გაძლიერებასაც. ამავდროულად, არაადეკვატურია, რადგან ასეთი აბსტრაქტული უნივერსალიზმი, რომელიც მოდერნულობის კონცეპტს ექსკლუზიურად და უცვლელად ერთ გეოგრაფიულ რეგიონს მიაკუთვნებს, სხვა საზოგადოებებს განვითარების ლოგიკის ჩარჩოს გარეთ ტოვებს, თითქოს ისინი ხასიათდებიან გარდაუვალი ნაკლოვანებებით. ასეთ მდგომარეობას ჩაკრაბარტი ,,ისტორიის მოსაცდელ ოთახს“ უწოდებს, რაც იყო კოლონიზატორის მთავარი არგუმენტი - ,,ჯერ არა" ან/და ,,ჯერ დასავლეთში, შემდეგ კი სხვაგან“ - რაც გულისხმობდა,

[2] ,,რამდენადაც განვითარება არ არის დამოუკიდებელი დისკურსი, განვითარებას ქმნის ცოდნა, რომელიც, თავის მხრივ, ნაწარმოებია ძალაუფლებრივი სტრუქტურებით“ (Escobar, 2018).

რომ ევროპულმა პოლიტიკურმა და სოციალურმა აზროვნებამ ადგილი მიუჩინა სუბალტერნული კლასების პოლიტიკურ მოდერნულობას. აზროვნების ეს ფორმა შესაძლებელს ხდიდა, რომ ზოგიერთი ხალხი ნაკლებად განვითარებულად მოენიშნათ, რომელთაც მოდერნულობაზე გადასვლისთვის და მომზადებისთვის გარკვეული დრო დასჭირდებოდათ. ავტორის მტკიცებით, „ტრანზიციის ნარატივი“ დაკავშირებულია იდეასთან, რომ ნაკლებად განვითარებული საზოგადოებების გზაა გადასვლა (ტრანზიცია) უფრო განვითარებული ფორმებისკენ, რომლის მოდელსაც ქმნის განვითარებული, კოლონიური ცენტრი. ჩაკრაბარტი ნაშრომში უმთავრესად აკრიტიკებს ისტორიციზმის კონცეფციას, რომელიც ყველა საზოგადოებას უსახავს განვითარების და მოდერნულობაზე გადასვლის ერთიან გზას. ჩაკრაბარტი აღიარებს, რომ იგი ტერმინ „ევროპას“ „ჰიპერრეალური“ მნიშვნელობით – ანუ ემპირიულად გაურკვეველი გზით – იყენებს. თუმცა ავტორისთვის ეს მიდგომა დამაკმაყოფილებელია, რამდენადაც, მისი აზრით, ევროპის არა-კოლონიზატორი ნაწილის ამ მნიშვნელობის მიღმა დატოვება ანალიზს არ დააზიანებს.

1.2 ტრანზიცია და პოლიტიკური მოდერნულობა: პოსტ-საბჭოთა კონტექსტი და საქართველო

ტრანზიციის პროცესში მყოფი სახელმწიფოების განვითარების ნარატივები მჭიდრო კავშირშია პოლიტიკური მოდერნულობის ცნებასთან. მისი ცენტრალური ვარაუდია, რომ დრო და ისტორია წრფივად განვითარებადია და განვითარებასაც განსაზღვრული მიმართულება გააჩნია (Chakrabarty, 2000). გლობალიზაცია მოდერნულობაში დროის წრფივ გაგებას წარმოსახვით საზღვრებში ათავსებს, რითაც ,,კაცობრიობის ისტორია“ ან ,,განვითარება“ უკავშირდება არა მხოლოდ დროით, არამედ სივრცის კონცეფციასაც. როდესაც საუბარია ,,განვითარებულ“ და ,,განვითარებად“ სამყაროზე, ერთი მხრივ, იგულისხმება ტრანზიციის დროებითი განსხვავება, რომე-

ლიც მათ სივრცულ განსხვავებაზეც მიუთითებს, ,,მოდერნულობის“ დისკურსის დახმარებით, კი ეს საზღვრები ტრადიციულად ჩრდილოეთ/სამხრეთის, აღმოსავლეთ/დასავლეთის და პირველი და მესამე სამყაროს გარშემოა ჩამოყალიბებული. დემოკრატიული ტრანზიციის მკვლევრები ,,განვითარების“ ნარატივში მოდერნულობის პოლიტიკურ პროექტზე მიუთითებენ, რომელსაც თავისი საკუთარი მიზეზ-შედეგობრივი თვისება აქვს - ქცევაზე დაწესებული ჩვეული ან ტრადიციული შეზღუდვების შესუსტება და ქვეყნის დემოკრატიულობაზე ზემოქმედება. (იხ. (Schoultz, 1987), (Becker, 1976))

საქართველოს პოსტ-რევოლუციური კონტექსტის გააზრებისათვის მნიშვნელოვანია სამთავრობო ელიტების მიერ შემოთავაზებული პროგრესის იდეის, მოდერნულობის და დასავლეთზე წარმოდგენისა და ამ წარმოდგენის მიერ ნაწარმოებული ბინარული ოპოზიციების კრიტიკული წაკითხვა. სტეფან ქოლიერი ნაშრომში ,,პოსტ-საბჭოთა სოციალური“ განიხილავს ნეოლიბერალიზმის კონკრეტულ მიმართებას პოლიტიკურ ინსტიტუტებისა და ინფრასტრუქტურის გარდაქმნასთან. ქოლიერი წერს, რომ ნეოლიბერალიზაციის მთავარი მიზანი პოსტ-საბჭოთა კონტექსტში ინფრასტრუქტურის გარდაქმნასა და სუბიექტურობის ფორმების ხელახალ წარმოებას მოითხოვდა. (Collier, 2011). ქოლიერი რუსეთის მთავრობის მრჩევლის ჯეფრი საქსის პროგრამას განიხილავს, რომელიც იმ დროს მნიშვნელოვანი ხმა და მრჩეველი იყო აშშ-ში რუსეთის შესახებ დისკუსიებში და უფრო ფართოდ წამყვან მრჩევლად ითვლებოდა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც სოციალიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას ცდილობდნენ. როგორც ქოლიერი აღნიშნავს, ,,ტრანზიციის“ პირველი პროექტი, რომელიც პრივატიზაციას და ლიბერალიზაციას გულისხმობდა, წარმოადგენდა ერთგვარ გზაჯვარედინს, რომელმაც, მიუხედავად გარკვეული ,,ჩავარდნებისა“, შექმნა პოლიტიკოსთა მცირე ჯგუფი, რომელსაც საერთაშორისო

მხარდაჭერით ქვეყნის სტაბილიზაცია უნდა დაეწყო (Collier, 2011). მთავარი პრინციპი კი სტრუქტურულ შესწორებას მოიცავდა, რაც გულისხმობდა რესურსების იმგვარ გადანაცვლებას, რომ თავისუფალი საბაზრო პრინციპების დაფუძნება გამხდარიყო შესაძლებელი. სტრუქტურებში კი ურბანული დაგეგმარება და რესურსების განაწილება მოიაზრებოდა. (Collier, 2011). პოსტ-საბჭოთა სივრცეში ამგვარი ტრანსფორმაციების ანალიზისას, ქოლიერს შემოაქვს ნეოლიბერალიზმისა და სოციალური მოდერნულობის ცნებები. ნეოლიბერალური დოქტრინა ეწინააღმდეგება სოციალურ კეთილდღეობას და მთავრობის სოციალურ მიზნებს. პიტერ ევანსი წერს, რომ ნეოლიბერალიზმი ,,თანდაყოლილად ბრმაა" სოციალური დაცვის საჭიროებების მიმართ და ამგვარი რეფორმები, მთავრობის როლის შემცირებით თუ დერეგულაციური პროგრამების მეშვეობით, არღვევს სოციალური დაცვისა და ეკონომიკის რეგულირების ძირითად ინსტიტუტებს (Evans, 2008). ნეოლიბერალიზმი არ ამცირებს სახელმწიფოს მნიშვნელობას და ფუნქციას, თუმცა ბაზრის ლოგიკა უფრო სანდოა, ვიდრე სახელმწიფოსი, რის გამოც ნეოლიბერალიზმში ბაზრის ფასეულობები სოციალური ცხოვრების მოწყობის და პოლიტიკის მთავარი ღერძი ხდება (Davies, 2018).

ვარდების რევოლუციის შემდგომი მთავრობის მთავარი მიზანი ახალი ქართული სახელმწიფოს შექმნა იყო, სადაც ე.წ. ,,არშემდგარი" ქვეყანა დასავლური / მოდერნული / ლიბერალურ-დემოკრატიული ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა. (Cheterian, 2008). (Brisku, 2013), (ჯონსი, 2013). ახალი მოდერნული სახელმწიფოს იდეა სამ განზომილებას დაეფუძნა - ეკონომიკური ზრდა, მინიმალური სახელმწიფო და დემოკრატიზაცია, ასევე, მოდერნულობის მისაღწევად მნიშვნელოვანი იყო კორუფციის დამარცხება.[3] ამა-

[3] ,,არც თუ დიდი ხნის წინათ, ჩვენ საერთოდ არ გვქონდა სახელმწიფო. ახლა კი გვაქვს ძლიერი ინსტიტუტები, რომელთა მიმართ აღფრთოვა-

ვე პერიოდიდან, საქართველოში ეკონომიკის პოლიტიკა საგრძნობლად შეიცვალა. ხელისუფლების გაცხადებულმა მიზანმა, დერეგულაციისა და ჩაურევლობის პოლიტიკამ, სასურველი შედეგები გამოიღო, რაც დაკავშირებულია კორუფციის აღმოფხვრასთან, ბიუროკრატიზმთან და მიმზიდველი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებასთან. თუმცა 2008 წლიდან შიდა პროტესტებმა, აგვისტოს ომის შელახულმა იმიჯმა და გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა ლიბერალური ეკონომიკური მოდელის დასასრული დააჩქარა (ტიმი, 2017). როგორც ტიმი აღნიშნავს, 2003 წლის შემდეგ საქართველოში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა ,,საზღვარგარეთ ლუდვიგ ფონ მიზესის და ფრიდრიხ აუგუსტ ფონ ჰაიეკის ეკონომიკური თეორიების რეალობად ქცევის შესანიშნავ და თანმიმდევრულ მცდელობად მიიჩნეოდა“ (ტიმი, 2017). ეკონომიკური ზრდისთვის კი საჭირო იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რასაც შედეგად მოჰყვა კაპიტალის ინტერესების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, მათ შორის ცვლილებები შევიდა საქართველოს კონსტიტუციაშიც, კერძოდ, 94-ე მუხლის (ე.წ ,,თავისუფლების აქტის“) მიხედვით, მთავრობას შეეზღუდა ახალი საგადასახადო სისტემის შემოღების ან არსებული განაკვეთის

ნებას გამოხატავენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს მიღმა. არცთუ დიდი ხნის წინათ, ქვეყანაში ყვაოდა კრიმინალი და კორუფცია. კრიმინალები და ქურდები ყველგან ბატონობდნენ. ჩვენი შვილების გარეთ გაშვების გვეშინოდა, რადგან მათაც წარმოუდგენელი საფრთხე ემუქრებოდათ. ახლა სიამოვნებას გვანიჭებს უსაფრთხო ქუჩები, საერთაშორისო ორგანიზაციები კი საქართველოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ მსოფლიოს წამყვან ქვეყნად ასახელებენ.“ (სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი: „მე ვაპირებდი პარლამენტში მისვლას, რათა უმრავლესობისთვის თანამშრომლობა შემეთავაზებინა“, 2013)

ზედა ზღვრის ცვლილების შესაძლებლობა რეფერენდუმის ჩატარების გარეშე. გარდა ამისა, საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო საგადასახადო სისტემისა და სახელმწიფო ქონების განკერძოების პროცესის გამარტივებას, საბაჟო ტარიფების გაუქმებას, დღგ-ის შემცირებას და სხვ., რამაც საქართველო ერთ-ერთ ყველაზე ნაკლები გადასახადების სახელმწიფოდ აქცია (ტიმი, 2017).

რადიკალური დერეგულირების შედეგად მოტანილი ,,წარმატება“ საერთაშორისო ასპარეზზეც იქნა აღიარებული, რასაც ადასტურებს საქართველოსთვის ბიზნესის კეთების ინდექსში მეცხრე ადგილის მინიჭება, ან მემკვიდრეობის ფონდის მიერ საქართველოსადმი მაღალი შეფასებების მიცემა ისეთ კატეგორიაში, როგორიცაა სამუშაო ადგილები (მე-3 ადგილი), ვაჭრობის თავისუფლება (მე-6 ადგილი) და ბიზნესის წარმოების თავისუფლება (მე-6 ადგილი) (Heritage Foundation, 2013). სწრაფი ეკონომიკური ზრდით, რომელმაც საქართველო უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებულად აქცია და მოწყვლადი გახადა საგარეო ეკონომიკური შოკების მიმართ და სოციალური დაცვის სისტემების უგულებელყოფით შეიძლება აიხსნას ის გარმეოება, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა დადებითად არ აისახა უმუშევრობის, სიღარიბის და შემოსავლიანობის უთანასწორობის დონეზე. (ერაძე, 2021) ამასთან, სხვადასხვა სტატიაში საქართველოში პოსტ-რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბებული და არსებული სისტემა მოხსენებულია ავტორიტარიანულ ლიბერალიზმად, სადაც ნაგულისხმევია ეკონომიკის სელექციური მოდერნიზაცია, იდეოლოგიის პოლარიზება და გადაწყვეტილების მიღების კოლექტიური პროცესის უგულებელყოფა (იხ.ბერაძე, 2021), (Jobelius, 2011)). ეს მიუთითებს იმაზეც, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ მოდერნიზაციისა და სახელმწიფოს მშენებლობის მიზანი, ხშირ შემთხვევაში, დემოკრატიაზე მაღლა იდგა. (Mitchell, 2009). როგორც ჰადსონი აღნიშნავს, სახელმწიფოს მშენებლობის ხედვის ამგვარი დისკურსი მჭიდრო კავშირშია გლობალურ დონეზე ნეოლ-

იბერალიზაციის პროცესთან, სადაც პერიფერიული ქვეყნებისთვის უპირობო პრიორიტეტი კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას ენიჭება (Hudson, 2009).

2. პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მიმართულებების დისკურსული ანალიზი

2.1 მიმბაძველობა გლობალურ ქალაქებთან - პოლიტიკური მოდერნულობის სივრცითი და დროითი განზომილებები

2004 წლის 5 მაისს დაახლოებით 15 ათასი დემონსტრანტი შეიკრიბა ბათუმის უნივერსიტეტთან, ასლან აბაშიძის გადადგომის მოთხოვნით, რაც ყველაზე ფართომასშტაბიანი აქცია იყო ასლან აბაშიძის წინააღმდეგ. ამ დროს მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ აბაშიძის უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იქნებოდა, თუ იგი თანამდებობას მშვიდობიანად დატოვებდა. 5 მაისის ღამეს რუსეთის უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარე იგორ ივანოვი ბათუმში ჩავიდა და შემდეგ ასლან აბაშიძესთან ერთად მოსკოვში გაფრინდა. ამასთან, დემონსტრანტებმა ცეცხლი დაანთეს ადგილობრივი ეროვნული გმირის, მემედ აბაშიძის ძეგლზე, რაც წინა მთავრობის პოლიტიკური მნიშვნელობებისა და სიმბოლოებისგან რადიკალურ გამიჯვნას მოასწავებდა (ხალვაში, 2016). 6 მაისს ბათუმში მიხეილ სააკაშვილი ჩავიდა და წარმოთქვა სიმბოლური ფრაზა: „ასლანი გაიქცა, აჭარა თავისუფალია“. სწორედ ამ პერიოდიდან უერთდება აჭარა ვარდების რევოლუციის გამარჯვებას და აჭარის რეგიონული ცენტრი, ქ. ბათუმი - საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის მთავარ ნიმუშად იქცევა.[4]

[4] ,,ბათუმი არის ნიმუში იმისა, თუ როგორ მიმდინარეობს საქართველოს აღორძინება“ (სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი, 2006)

ვარდების რევოლუციის შემდეგ, განსაკუთრებით 2007-08 წლიდან, ქ. ბათუმი ურბანული ექსპერიმენტის ადგილად იქცა. რევოლუციის შემდგომ პირველივე წლებში იქ 50-ზე მეტი ახალი მრავალსართულიანი შენობა აშენდა, 2009-2013 წლებში კი ტურისტების რაოდენობა 360%-ით გაიზარდა. ქ. ბათუმში არსებული სწრაფი სამშენებლო ბუმი და ე.წ ,,ჰიპერმშენებლობა" ნათლად აჩვენებდა იმას, რასაც სასკია სასენი პერიფერიული ქალაქის მიმბაძველობასა და მიღწევის სურვილს უწოდებს გლობალურ ქალაქებთან მიმართებაში (სასენი, 2021). მიმბაძველობის ამგვარ დისკურსულ კონფიგურაციებს მრავლად ვხვდებით ქალაქ ბათუმის შემთხვევაში, რომელიც, იმეორებს სახელმწიფოს მშენებლობის ისეთ ხედვას, რომელიც კულტურულად - ევროპულ, ხოლო ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით - სინგაპურიზაციის სინთეზს წარმოადგენდა. მაგალითად, 2011 წელს დონალდ ტრამპის საქართველოში ვიზიტის დროს პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განაცხადში ბათუმი გაიგივებულია ისეთ გლობალურ ქალაქებთან, როგორიცაა დუბაი და სინგაპური, ამასთან, 2010 წელს, ბათუმში ,,ანბანის კოშკის" მშენებლობის გახსნის დროს, პრეზიდენტი ქ. ბათუმს ,,პარიზის" ეიფელის კოშკს ადარებს და ბათუმს აღმოსავლეთ ევროპის მთავარ ,,ევროპულ" ქალაქად მონიშნავს. აღნიშნული დისკურსები და გაიგივება ,,ევროპულ" თუ ,,კაპიტალისტური ცენტრის" ქალაქებთან განსხვავდება იმის მიხედვით, მსმენელი აუდიტორია საერთაშორისოა, თუ ადგილობრივი მოსახლეობა. ქ. ბათუმის გაიგივება სინგაპურთან თუ დუბაისთან ძირითადად საერთაშორისო დონის ღონისძიებების დროსაა თვალშისაცემი[5], მაშინ როდესაც ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების დროს, ბათუმი ძირითად შემთხვევაში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებთან იგივდება. დის-

[5] ასეთ შემთხვევებად შეიძლება გამოდგეს დონალდ ტრამპის ვიზიტი, საერთაშორისო აეროპორტის გახსნა, რეჯეპ ტაი ერდოღანის ვიზიტი, აშშ-ში გამართულ კონფერენციებზე სიტყვით გამოსვლები და სხვ.

კურსის ამგვარი სივრცული განსხვავება კონტექსტის დამოწმებითაა შესაძლებელი. როგორც დასაწყისში აღინიშნა, ვარდების რევოლუციის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკა მაღალი სავაჭრო დეფიციტით (-41%), უცხოურ კაპიტალსა და უცხოურ ვალუტაზე (დოლარიზაციის დონე 60%-ს აღემატება) დამოკიდებულებით ხასიათდება, ასეთი სუსტი ეკონომიკის ფონზე კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო ინვესტორების მოსაზრებები და გადაწყვეტილებები (ერაძე, 2021). ამ მხრივ, საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს ქ. ბათუმში საერთაშორისო აეროპორტის გახსნა, რომელიც ძირითადად თურქეთთან ეკონომიკური ურთიერთობების და კაპიტალის ბრუნვის გაზრდის მიზნით გაიხსნა. 2007 წლის 26 მაისს, ახალი აეროპორტი პრეზიდენტმა შემდეგი სიტყვებით გახსნა:

> *,,ბათუმის აეროპორტს კი, საქართველო და თურქეთი ერთობლივად გამოიყენებს. ეს ნიშნავს იმას, რომ სამ დღეში აქ თურქეთის ავიახაზები პირველ რეისს შეასრულებს. ეს ნიშნავს იმას, რომ მრავალგზის გაიზრდება სავაჭრო ბრუნვა. ... ეს არის ისეთი რამ, რის ეკონომიკურ შედეგს დღესვე მივიღებთ“* (სააკაშვილი, 2007)

პრეზიდენტი მადლობას უხდის თურქეთს აეროპორტის მშენებლობაში გაწეული მნიშვნელოვანი დახმარებისთვის და ამგვარ გამოწოდებულ ,,მეგობრულ ხელს“ სანაცვლოდ ,,მეგობრული ხელის“ დახვედრებას პირდება. კერძოდ, ამავე გამოსვლაში პრეზიდენტი აცხადებს, რომ ,,ახალ ხელშეკრულებებს ვამზადებთ იმისათვის, რომ ხელჩაკიდებულებმა და წელგამართულებმა ერთად შევძლოთ სვლა უკეთესი მომავლისკენ.“ წინამდებარე ტექსტში მთავარი აქცენტები საქართველოსა და თურქეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერებაზეა გაკეთებული და ქ. ბათუმი ძირითადად მოაზრებულია ისეთ კაპიტალურ ქალაქად, სადაც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შემთხვევაში, შესაძლებელია

სინგაპურის და დუბაის მსგავსს გლობალურ ქალაქად იქცეს. აღნიშნულ დისკურსს, რომელიც ბათუმს ძირითადად თავისუფალ სავაჭრო ეკონომიკურ კონტექსტში წარმოაჩენს, აძლიერებს ის ფაქტიც, რომ აეროპორტის გახსნიდან რამდენიმე თვეში, ქართული მხარე ამზადებს შეთანხმებას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის, რომელსაც ხელს 2007 წლის ნოემბერში მოაწერენ მხარეები (2007). ამასთან, 2010 წელს თურქეთის პრემიერ მინისტრის რეჯიფ თაიფ ერდოღანის ოქროს საწმისის ორდენით დაჯილდოების დროს, პრეზიდენტი ხაზს უსვამს იმას, რომ ქ. ბათუმის გალამაზება, განათება და განახლება უმთავრესად ინვესტორთა მოსაზიდად გაკეთდა. ,,ჩვენი ამოცანაა, რომ თითოეული უცხოელი, თუნდაც ერთი საათით, ჩამოვიყვანოთ ბათუმში და არა იმიტომ, რომ გავართოთ და ბულვარში ყავა დავალევინოთ, არამედ იმისთვის, რომ ინვესტიციის ჩადების სურვილი გაუჩნდეს. ... უპირველესად, ეს ინვესტორთა მოსაზიდად უნდა გაგვეკეთებინა, რათა მათ ჩვენთან მუშაობის მეტი ხალისი ჰქონდეთ“ (სააკაშვილი, 2010).

გლობალურ ქალაქებთან მიმბაძველობის დისკურსი, რომელიც, როგორც უკვე ვაჩვენეთ პოლიტიკური და ეკონომიკური მოდერნულობის განსხვავებულ სახეებს წარმოადგენს, ძირითადად აგებულია სწრაფი მშენებლობის და მოდერნული ინფრასტრუქტურის კონტექსტში. მოდერნიზაციის კონცეფცია, როგორც დასაწყისში აღინიშნა, მიმართულია, როგორც სივრცით, ასევე, დროის კონცეფციასთან. საქართველოს შემთხვევაში, სწრაფი და დაჩქარებული მოდერნიზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი სწორედ ქ. ბათუმია. ,,ჩვენ ყველაფერს ჩქარა ვაკეთებთ და არა ნაჩქარევად. ჩვენ თხუთმეტი წელი დავკარგეთ, დღეს ჩვენი დამოუკიდებლობის თხუთმეტი წლისთავი აღვნიშნეთ.“ (სააკაშვილი, 2007). დაჩქარებული მოდერნიზაციის ასეთი გაგება კავშირშია ხელისუფლების გაცხადებულ მიზანთან, სწრაფად მოეხდინა ეკონომიკური ზრდა და

უცხოური კაპიტალის შემოდინება ქვეყანაში. სამთავრობო ნარატივებში მუდმივად ვხვდებით მთავარ აქცენტს დროზე, რაც ქ. ბათუმის შემთხვევაში ,,მსოფლიოს სასწაულის", ,,შავიზღვისპირეთის სასწაულის" ან ,,სასწაული განვითარების ტემპით" ნარატივებითაა წარმოდგენილი.

2.2 ქალაქ ბათუმის განვითარების ძირითადი დისკურსული სტრატეგიები

მეორე საკითხი, რომელზეც წარმოდგენილი სტატია მსჯელობს, ქ. ბათუმზე სახელისუფლებო დისკურსების ანალიზისას, განვითარების ბინარულობის წარმოებას და მათ კრიტიკულ წაკითხვას ეხმიანება. ქ. ბათუმის განვითარების ნარატივებში შესაძლებელია განვითარების ორსახოვანი დისკურსის ამოკითხვა, სადაც ერთი სახე მიმართულია ბათუმის განვითარებასა და მომავლისკენ, რომელიც ,,ევროპული", ,,ევროპასთან დაახლოებული" ან ,,ევროპულზე უფრო მეტად ევროპულის" ნარატივებითაა აგებული, ხოლო მას უპირისპირდება მეორე მხარე - ნაწილობრივ რევოლუციამდე არსებული ქ. ბათუმი, რომელიც კონტექსტურად დაშენებულია ანტირუსულ დისკურსზე. ამ მხრივ, საინტერესოა რამდენიმე ნიმუშის მოხმობა.

2009 წელს, ბათუმში ოპერის შენობის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი, სადაც პრეზიდენტმა შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: ,,ბათუმი აღარ არის ის პატარა, პროვინციული, მიყრუებული ქალაქი, როგორიც იყო ათწლეულების განმავლობაში; ბათუმი აღარ არის ჩიხი. … როდესაც მომავალი თაობა იკითხავს რა დავუტოვეთ ჩვენ მათ, იტყვიან, რომ ავაშენეთ ყველაზე კარგი ტურისტული ცენტრი შავ ზღვაზე, ავაშენეთ ყველაზე ლამაზი ოპერა ევროპაში, ავაშენეთ ახალი ბარსელონა". აღნიშნულ ტექსტში ქ. ბათუმის კონცეპტუალიზება რამდენიმე მიმართულებით იკითხება: 1. ქ. ბათუმის რადიკალური ტრანსფორმაცია; 2. ქ. ბათუმი, როგორც ბარსელონა (უფრო

ფართოდ ევროპა) საქართველოში; ტექსტი კი შემდეგი მიმართულებით გრძელდება: ,,მე ვთქვი, რომ აქ გვექნებოდა ყველაზე საუკეთესო კომპლექსი და ორ კვირაში საფუძველს ვუყრით ევროპის ყველაზე ლამაზ საზღვაო ბულვარს. ამას გაზვიადების გარეშე ვამბობ, რადგან ასეთი არ იქნება არც ნიცაში, არც კანში, არც ვალენსიაში, არც ბარსელონაში", სადაც ძირითადი დისკურსული ჟესტი ,,ევროპაზე უფრო ევროპულის" იდეაზე რეფერენსით შეგვიძლია წავიკითხოთ. დისკურსის ამგვარ კატეგორიებს, რომელიც, ერთი მხრივ, მოდერნულობის ტელეოლოგიურ მნიშვნელობად ,,ევროპას" წარმოადგენს და ტელეოლოგიასთან მიმართებით ადგენს ,,**განსხვავების"** ჟესტს, ხოლო, მეორე მხრივ, ცდილობს კონკურენტული უპირატესობა მოიპოვოს ტელეოლოგიურ სივრცეზე ,,**აღმატებულობის"** ჟესტით, რაც არსებითად დამახასიათებელია ტრანზიციის პროცესში მყოფ სახელმწიფოებში პოლიტიკური მოდერნულობის პროექტის განსახორციელებლად. (Chakrabarty, 2000) რაც შეეხება განსხვავებას, ის სივრცულად ვარდების რევოლუციამდე არსებულ ბათუმს უკავშირდება, თუმცა ,,ჩამორჩენის" დისკურსული ჟესტი ქ. ბათუმთან მიმართებაში ნაკლებადაა გამოყენებული. განსხვავება-აღმატებულობის ტროპის საინტერესო ნიმუშია 2008 წელს გამართული ერთ-ერთი შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, სადაც პრეზიდენტი შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამს: ,,როცა ჩვენ ბათუმი ჩავიბარეთ, თეთრის გარდა ყველაფერი იყო - ჩამონგრეული და განადგურებული ... ბათუმი იქნება ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ევროპული ქალაქი", ამავე შეხვედრაზე პრეზიდენტი წარმოადგენს 2009 წლის ბათუმის კონცეფციას: ,,ბათუმი-2009 - ეს იქნება ევროპული დონის ყველა სკოლა, ევროპული დონის ყველა საავადმყოფო და ამბულატორია, მათ შორის ოთხი დღეს გაიხსნა, ევროპული დონის ყველა სასტუმრო, აეროპორტი, თითქმის ყველა დასაქმებული ადამიანი, კანალიზაციის ევროპული დონის სისტემები, ევროპული დონის სატრანსპორტო კომუნიკაციები, ევროპული დონის მომსა-

ხურება და ბევრად უფრო მდიდარი მოსახლეობა.“ აღნიშნულ ტექსტში ორი ძირითადი კოგნიტური კონცეპტი ვლინდება: 1) ყველაფერი ევროპულის მონიშვნა, როგორც უპირობოდ კარგის (რასაც პართა ჩატერჯი ,,კოლონიური განსხვავების წესს“ უწოდებს, რომლითაც დასავლეთი მხოლოდ განვითარების სინონიმად მონიშნება), რაც არ საჭიროებს დამატებით ახსნას, თუ რა იგულისხმება კონკრეტულად ევროპული დონის სტანდარტებში; 2) ჩამორჩენა-დაწევის კოგნიტური ჟესტი, სადაც განსხვავების დროითი ხაზი ვარდების რევოლუციამდე და მის შემდგომ პერიოდზე გადის, ხოლო სივრცული (ტელეოლოგიური) ხაზი არსებითად ევროპულ (დასავლურ) სივრცისკენაა მიმართული. თუმცა, დისკურსული თვალსაზრისით, ქ. ბათუმის შემთხვევაში ნაკლებად ვხვდებით უშუალოდ ,,**ჩამორჩენის“** ნარატივზე აპელირებას, რაც, თავის მხრივ, ტრანზიციის კოლონიური ლოგიკის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია, ასეთი გარემოება კი შესაძლოა აიხსნას იმ მიზეზ-შედეგობრივი დაშვებიდან გამომდინარე, რასაც პოსტ-რევოლუციურ პერიოდში სწრაფი მოდერნიზაციის ფენომენს ვუწოდებთ. ამავე შეხვედრაზე პრეზიდენტი აცხადებს, რომ ქ. ბათუმში ,,იქნება მსოფლიო დონის იმაზე მეტი სასტუმრო, ვიდრე მთელს ცენტრალურ ევროპაში“, რაც როგორც ზემოთ ვახსენეთ, აღმატებულობის (,,ევროპაზე უფრო ევროპულობის“) ტროპს წარმოადგენს. ,,აღმატებულობის“ დისკურსს ასევე ვხვდებით 2009 წელს გაკეთებულ ერთ-ერთ განცხადებაში, სადაც ქ. ბათუმის განვითარების სწრაფი ტემპები შედარებულია ევროპული ქალაქების განვითარების ტემპთან და მონიშნულია, როგორც მთელს ევროპაში ერთადერთ ქალაქად/სივრცედ, სადაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, მშენებლობები არ შეჩერდა.[6]

[6] „ბათუმი მთელ ევროპაში, ერთადერთი ქალაქია, სადაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, მშენებლობა არ შეჩერებულა. ბა-

ქ. ბათუმის განვითარების დისკურსებზე დაკვირვებისას, ვლინდება კიდევ ერთი კონფიგურაცია, რომელიც, ამავდროულად, აფუძნებს განვითარების ბინარულობას (ევროპა რუსეთის წინააღმდეგ). 2010 წელს პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ ყოველწლიურ ანგარიშში ვკითხულობთ: ,,მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში ბათუმში იქნება უფრო მეტი ბრენდის სასტუმრო, ვიდრე დღეს არის ქალაქ მოსკოვში. ... მალე ბათუმი სოჭზე განვითარებული უნდა იყოს ... ოდესღაც გვექნება თავისუფალი ფრენა მოსკოვთან და ნორმალური ურთიერთობები, მაგრამ დამერწმუნეთ ჯობია მათ ვუხადოთ ძვირი ფასი, მაგრამ იქ ჩავდიოდეთ როგორც ევროპელები, ვიდრე ვიხადოთ იაფი ფასი და ვიყოთ ვასალები“. აღნიშნულ ტექსტში ბათუმი დამოწმებულია სივრცედ, რომელიც საქართველოს ევროპული იდენტობის ნაწილად წარმოაჩენს და ის უპირისპირდება ,,რუსულს“. თუ ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს ტრანზიციის ნარატივში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ჩამორჩენის დისკურსს, რასაც ძირითადად საბჭოთა რეჟიმის 70 წლიან პერიოდს უკავშირებენ, ქ. ბათუმის შემთხვევაში, ბინარულობა არ აიგება საბჭოთა კავშირთან მიმართებაში, მის შემცვლელს კი რუსეთი წარმოადგენს. ასეთ ტროპებს მრავლად ვხვდებით ქ. ბათუმის დამოწმებით ქვეყნის განვითარების პროექტთან დაკავშირებულ სხვადასხვა დისკუსიებში. ,, ჩვენ გვაქვს ქალაქი ბათუმი - შავი ზღვის სანაპიროს არაოკუპირებულ ნაწილში, სადაც ამჟამად უფრო მეტი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა და მეტი მშენებლობა მიმდინარეობს, ვიდრე მოსკოვში.“

თუმში სერიოზულად გაიზარდა მშენებლობის ტემპები და ეს დანარჩენი საქართველოს განვითარების ბიძგი უნდა გახდეს.“ (სააკაშვილი, მთავრობის გასვლითი სხდომა აჭარაში გაიმართა, 2009)

დასკვნა

წარმოდგენილ სტატიაში კონკრეტული მაგალითების დამოწმებით და მათი დისკურსული ანალიზით ნაჩვენებია ტრანზიციის და განვითარების ის ძირითადი კოგნიტური სქემები, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყნის პოლიტიკური განვითარების ძირითად ტელეოლოგიურ მიმართულებებს წარმოადგენს. სტატიაში ნაჩვენებია, რომ განვითარების ძირითადი დისკურსი თანხვედრაშია პერიფერიული ქვეყნების ნეოლიბერალური განვითარების/ტრანზიციის გზასთან, ხოლო ქ. ბათუმი ასეთ პოლიტიკურ და დისკურსულ კონტექსტში შესაძლებელია განვიხილოთ იმ ტიპის სივრცედ, რომელზეც, ერთი მხრივ, ფუძნდება პოლიტიკური მოდერნულობის დროითი და სივრცითი კატეგორიები, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლებელს ხდის ქვეყნის განვითარების და სახელმწიფოს მშენებლობის ძირითადი ნარატივების ანალიზს.

გამოყენებული ლიტერატურა:

Chakrabarty, D. (2000). *Provincializing Europe: Postcolonial Thought and Historical Difference.* New Jersey: Princenton University Press.

Schoultz, L. (1987). *National Security and United States Toward Latin America.*

Becker, G. (1976). *The economic approach to human behaviour.* Chicago: Chicago University Press.

The World Bank. (2018). *World Development Indicators.* მოპოვებული http://wdi.worldbank.org/table/2.9-დან

Cheterian, V. (2008). Georgia's rose revolution: Change or repetition? Tension between state-building and modernization projects. *Nationalities Papers: The Journal of Nationalism and Ethnicity*, 689-712.

Brisku, A. (2013). *Bittersweet Europe: Albanian and Georgian Discourses on Europe, 1878-2008.* New York & Oxford: Berghahn Books.

ჯონსი, ს. (2013). *პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* თბილისი: სოციალური მეცნიერებათა ცენტრი.

Harris-Brandts, S. (2018). Building Vacancies: Tourism and Empty Real Estate in Batumi. (D. Gogishvili, & A. Coppola, რედ.)

McGuirk, P. (2005). Neoliberalist planning? Rethinking and recasting Sydney's metropolitan planning. *Geographical Research*, 59–70.

Duran, F. (2006). *El Tsunami Urbanizador Espan˜ol y Mundial.* Barcelona.

Sassen, S. (2011). *Cities in a world economy.* Sage Publications.

სააკაშვილი, მ. (2013). *საქართველოს პრეზიდენტი: „მე ვაპირებდი პარლამენტში მისვლას, რათა უმრავლესობისთვის თანამშრომლობა შემეთავაზებინა".* მოპოვებული საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი: http: //www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News?p=8137&i=18-დან

ქარაია, თ. (2015). საბჭოთა წარსულის გააზრება საქართველოში „ვარდების რევოლუციის" შემდეგ. *ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი*, 68-81.

Fairclough, N. (2010). *Critical Discourse Analysis: The Critical Study of Language.* London: Routledge.

Collier, S. J. (2011). *Post-Soviet Social.* Princeton University Press.

Evans, P. (2008). Is an Alternative Globalization Possible? *Politics and Society*, 271-305.

ტიმი, ქ. (2017). საქართველო: სახელმწიფო ბაზარში. ნეოლიბერალიზმიდან მართულ კაპიტალიზმამდე. *საზღვრებს მიღმა. კონფლიქტი და თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში* .-ში ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი.

Heritage Foundation. (2013). *Finance Corporation: Ease of Doing Business in Georgia*. მოპოვებული Heritage Foundation: Index of Economic Freedom: https://www.heritage.org-დან

Davies, W. (2018). The Neoliberal State: Power against Politics. *The SAGE Handbook of Neoliberalism* (გვ. 271-284).-ში SAGE.

ერაძე, ი. (2021). სამთომოპოვებითი ინდუსტრიის სოციალურ-ეკოლოგიური კრიზისები სახელმწიფოს მშენებლობის და განვითარების ნარატივების ჭრილში. *სოციალური სამართლიანობის ცენტრი.*

Jobelius, M. (2011). Georgia's authoritarian liberalism. *South Caucasus 20 Years of Independence*, 77-92.

Mitchell, L. A. (2009). Compromising democracy: State building in Saakashvili's Georgia. *Central Asian Survey,*, 171-183.

Hudson, R. (2009). Resilient regions in an uncertain world: wishful thinking or a practical reality? *Cambridge Journal of Regions, Economy and Society*, 1-14.

ხალვაში, თ. (2016). სირცხვილის პერიფერია . *ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი.*

საკაშვილი, მ. (2006). *საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ საკაშვილის წინასაარჩევნო მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი.* მოპოვებული საქართველოს პრეზიდენტი: http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News?2635-დან

სასენი, ს. (2021). *განდევნები.* ალტერბრიჯი.

საკაშვილი, მ. (2007 წლის 26 05). *საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ საკაშვილმა ბათუმის აეროპორტი გახსნა.* მოპოვებული საქართველოს პრეზიდენტი: http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News?2383-დან

შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის (საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 2007 წლის 21 11).

საკაშვილი, მ. (2010). *საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ საკაშვილმა თურქეთის პრემიერ მინისტრი რეჯიფ თაიფ ერდოღანი ოქროს საწმისის ორდენით დააჯილდოვა.* მოპოვებული მიხეილ

სააკაშვილი: http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News?5142-დან

სააკაშვილი, მ. (2009). *მთავრობის გასვლითი სხდომა აჭარაში გაიმართა.* მოპოვებული მიხეილ სააკაშვილი: http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/Releases?p=2935&i=81-დან

Teimuraz Bejhanidze

The Narratives of Development and State-Building in the Post-Revolution Period (The Case of Batumi City)

Abstract

The concept of development, which has become the leitmotif of our times, is expressed in the way every political decision, institution building or policy agenda is made. This article is an attempt to examine the political narratives of development in the post-Rose Revolution period, using the city of Batumi as an example, and to outline what kind of political project was based on the vision of the development of state building in the post-revolutionary period. The article uses the methodology of critical discourse analysis and, through the discussion of individual discourses, shows how the affirmation of political modernity as a development and state-building project looks like on the example of Batumi and what basic ideas are included in the chosen direction of development. The political discourses are analyzed in the article in relation to the spatial and temporal concepts of political modernity.

Key words: development, modernity, space and time, Batumi, post-soviet transformation.